ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N203

2015 წლის 29 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტული საკლუბო გუნდების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტული საკლუბო გუნდების პროგრამა თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ი.ხაჯიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

# სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა

**1)პროგრამის სახელწოდება:**

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა

**2) პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

2016 წლის 1იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე;

**3) პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

**92 200** (ოთხმოცდათორმეტიათასორასი ლარი)

**4) პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ძირითადი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი **92 200** (ოთხმოცდათორმეტიათასორასი ლარი)

**5) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

შპს "საფეხბურთო საკლუბო გუნდი "შუქურა"

შპს სარაგბო კლუბი "პონტო"

ა(ა)იპ სპორტული კლუბი ,,ქობულეთი" (ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი)

6) პროგრამის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სპორტული საკლუბო გუნდების გაუმჯობესებული ფუნქციონირებისათვის, სპორტული კლუბების სახეობების და მდიდარი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური სპორტული კლუბების მხარდაჭერას, ვინაიდან ფესბურთის სპორტული კლუბი ემზადება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად და შეეცდება დაიკავოს, რაც შეიძლება მაღალი ადგილი. ხოლო რაგბის სპორტული კლუბი კი საქართველოს ეროვნული სარაგბო ჩემპიონატისა და გათამაშებებში, ბ.ლიგის, დასავლეთ საქართველოს და საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეობისას შეეცდება დაიკავოს საპრიზო ადგილები, ვინაიდან მისი ამოცანაა, შექმნას ბრძოლისუნარიანი გუნდი და წარმატებით ასპარეზობების შედეგად, სამომავლოდ დაკვიდრდეს უმაღლეს ლიგაში. რაც შეეხება ახალ შექმნილ სპორტულ კლუბ “ქობულეთს”, მისი შექმნით ახალ თაობებს მიეცემათ უდიდესი სტუმული. ბოლო პერიოდში სპორტის ეს სახეობები არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია (ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი), შესაბამისად სპორტის ამ სახეობების განვითარებისათვის და ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. ქართული ფეხბურთი, ქართული რაგბი, ფრენბურთი, ხელბურთი და კალათბურთი გასული საუკუნიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გავლენას მოახდენს გუნდების შემდგომ გაძლიერებასა და წარმატებით ასპარეზობაზე. საფეხბურთო, სარაგბო, საფრენბურთო, სახელბურთო და საკალათბურთო საკლუბო გუნდები, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ეტაპობრივად გამოიყენებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს: შრომითი ანაზღაურების (მათ შორის საპრემიო ფონდის), ოფისის ხარჯების, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებსა და გათამაშებებში მონაწილეობის შენატანის, გუნდების საწვრთნელი შეკრებების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, მივლინების, ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების, სამედიცინო ხარჯების, ინვენტარისა და უნიფორმების, არაფინანსური აქტივის, აგრეთვე სხვა დანარჩენი საქონელის შეძენისათვის.

7) პროგრამის მიზნები:

| | |
|---|---|
| 1 | სპორტული საკლუბო გუნდების დაფინანსება, მათი გაუმჯობესებული ფუნქციონირებისათვის; სპორტული კლუბების სახეობების და მდიდარი ტრადიციების შენარჩუნება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საფეხბურთო, სარაგბო, საფრენბურთო, საკალათბურთო და საფრენბურთო საკლუბო გუნდებისათვის მატერიალური მხარდაჭერა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში წარმატებით მონაწილეობის მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის, სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივ ფართო ფენებში სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. |

| | |
|---|---|
| 1.1. | ფეხბურთის სახეობის განვითარება. ფეხბურთის სახეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, სპორტული შეჯიბრებებისა და ტურნირების, საწვრთნელი შეკრებების ორგანიზება, ამხანაგური მატჩების გამართვა, ახალი ფეხბურთელების შერჩევა, გუნდის ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკურ ფსიქოლოგიური დონის ამაღლება და ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისათვის მომზადება. საფეხბურთო საკლუბო გუნდის შემდგომი პოპულარიზაცია. წარსულში ყველასათვის ცნობილი ,,შუქურა"-ს რებრენდინგის მიზნით, სტადიონის საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. გამოჩენილი ქობულეთელი სპორტსმენების და ლეგენდარული ფეხბურთელების სახელების პოპულარიზება. |
| 1.2 | რაგბის სახეობის განვითარება. რაგბის სპორტული კლუბ "პონტოს" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებსა და გათამაშებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნისა და წარმატებით ასპარეზობების სტიმული. |
| 1.3 | ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სპორტული სახეობების განვითარება. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. რეგიონში სპორტული ცხოვრების მასობრიობისათვის ხელის შეწყობა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის, სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივ ფართო ფენებში ფრენბურთის, ხელბურთის და კალათბურთის სახეობების პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ჩემპიონატსა და გათამაშებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნისა და წარმატებით ასპარეზობის სტიმულირება. |

8) პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონიძიებები:

| N | ღონისძიების დასახელება | ღონისძიების დეტალური აღწერა |
|---|---|---|
| 1 | ფეხბურთის კლუბი | შპს " საფეხბურთო კლუბ "შუქურა"–ს სუბსიდირება |
| 2 | რაგბის კლუბი | შპს სარაგბო კლუბ "პონტო"-ს სუბსიდირება |
| 3 | ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის კლუბი | ა(ა)იპ სპორტული კლუბ "ქობულეთის"-ს სუბსიდირება |

9) პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების კალენდარი:

| N | ღონისძიების დასახელება | მათ შორის თვეების მიხედვით: | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიმდინარე (მათ შორის გარდამავალი) | | | | | | | | | | | |
| | | 01 | 02 | 03 | 04 | 05 | 06 | 07 | 08 | 09 | 10 | 11 | 12 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფეხბურთის კლუბი | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x |
| 2 | რაგბის კლუბი | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x |
| 3 | ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის კლუბი | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x | x |

10) პროგრამის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით:

| N | დაფინანსების წყარო | წილი (100%) | სულ თანხა |
|---|---|---|---|
| ა | ადგილობრივი ბიუჯეტი | 100,0 | 92 200 |
| ბ | სხვა | 0 | 0 |
| ჯამი | | 100.0 | 92 200 |

11) პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარი):

| N | ღონისძიების დასახელება | გადასახდელების ეკონომიკური კატეგორია | სულ თანხა, მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | გარდამავალი | მიმდინარე | მიმდინარეს შემდომი |
| ა | ადგილობრივი ბიუჯეტი | | 0 | 92 200 | 0 |
| 1 | საფეხბურთო კლუბი | | | 0 | |
| 2 | სარაგბო კლუბი | | | 80 000 | |
| | ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის კლუბი | | | 12200 | |

12) მოსალოდნელი შედეგები:

| | |
|---|---|
| 1 | საქართველოს ჩემპიონატებში წარმატებული გამოსვლა |
| 2 | ქობულეთელი სპორტსმენების მოხვედრა სხვადასხვა რანგის ნაკრებებში |
| 3 | ქობულეთელი სპორტსმენების მოხვედრა სხვადასხვა რანგის ნაკრებებში |

13) შედეგების შეფასების კრიტერიუმები:

| | |
|---|---|
| 1 | საქართველოს ჩემპიონატებში დაკავებული მაღალი ადგილები |
| 2 | მაყურებელთა გაზრდილი რაოდენობა, არა უმცირეს 15% |
| 3 | სხვადასხვა რანგის ნაკრებებში მოხვედრილი ქობულეთელი სპორტსმენები |
| 4 | გამოვლენილი პერსპექტიული სპორტსმენები |

14) დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 23 660 ლარი; II კვარტალი 24 110 ლარი;

III კვარტალი 22 440 ლარი; IV კვარტალი 21 990 ლარი;

ბ) პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მომსახურეობით ისარგებლებს:

1.1. შ.პ.ს. "საფეხბურთო კლუბი "შუქურა"
1.2. შ.პ.ს მორაგბეთა კლუბი "პონტო"
1.3. ა(ა)იპ სპორტული კლუბი "ქობულეთი" (ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი)

## 1.1. 1 საფეხბურთო კლუბ "შუქურას" ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით:

| N | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური, გაშიფრული) | განზომილების ერთეული | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|---|---|---|---|
| | 2016 წელი | | |
| 1 | შრომის ანაზღაურება | ლარი | |
| | საქონელი და მომსახურეობა | | |
| 2 | მივლინება | ლარი | |
| 3 | ოფისის ხარჯი | ლარი | |
| 4 | სამედიცინო ხარჯები | ლარი | |
| 5 | რბილი ინვენტარი, უნიფორმა | ლარი | |
| 6 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | ლარი | |
| 7 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | ლარი | |
| | სულ | | |

1.1.2. დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება:

I კვარტალი 0 ლარი; II კვარტალი 0 ლარი;

III კვარტალი 0 ლარი; IV კვარტალი 0 ლარი;

1.1.3. პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალის საშტატოგანრიგი და სახელფასო ფონდი

| საშტატო ერთეულის დასახელება | 2016 წ. | | |
|---|---|---|---|
| | შტატი | ხელფასი | თვე |
| | | | |
| დირექტორი | 1 | 550 | 550 |
| დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში | 1 | 500 | 500 |
| დირექტორის მოადგილე საფინანსო დარგში | 1 | 500 | 500 |
| დირექტორის მოადგილე სპორტულ დარგში | 1 | 500 | 500 |
| იურისტი | 1 | 450 | 450 |
| ბუღალტერი | 1 | 450 | 450 |
| გუნდის მენეჯერი | 1 | 500 | 500 |
| ლიცენზირების ტექნიკური მენეჯერი | 1 | 450 | 450 |
| გუნდის უფროსი | 1 | 450 | 450 |
| გუნდის ადმინისტრატორი | 1 | 400 | 400 |
| უსაფრთოხების ოფიცერი | 1 | 500 | 500 |
| სატრანსფერო მენეჯერი | 1 | 450 | 450 |
| აიტი სპეციალისტი | 1 | 400 | 400 |
| მდივან რეფერენტი | 1 | 400 | 400 |
| ოპერატორი | 1 | 400 | 400 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მედია ოფიცერი | 1 | 450 | 450 |
| გულშემატკივრებთან მეკავშირე | 1 | 250 | 250 |
| მთ. მწვრთნელი | 1 | 5000 | 5000 |
| მთ. მწვრთნელის თანაშემწე | 1 | 1000 | 1000 |
| დუბლშემადგენლობის მწვრთნელი | 1 | 1000 | 1000 |
| გუნდის ექიმი | 1 | 1500 | 1500 |
| ფიზიოტერაპევტი | 1 | 2000 | 2000 |
| ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი | 1 | 1500 | 1500 |
| მწვრთნელი (მეკარეების) | 1 | 800 | 800 |
| მწვრთნელი (ჭაბუკთა ლიგის) | 1 | 800 | 800 |
| მწვრთნელი (ბავშვთა) | 1 | 625 | 625 |
| მწვრთნელი (ფიზმომზადების) | 1 | 625 | 625 |
| მასაჟისტი | 5 | 500 | 2500 |
| სელექციონერი | 1 | 500 | 500 |
| სამეურნეო დარგის სპეციალისტი | 1 | 500 | 500 |
| მძღოლი | 3 | 500 | 1500 |
| ტექნიკოსი | 1 | 500 | 500 |
| მინდვრის მომვლელი | 1 | 500 | 500 |
| კომენდანტი | 1 | 400 | 400 |
| მუშა | 3 | 400 | 1200 |
| დარაჯი | 3 | 300 | 900 |
| მეგარდერობე | 2 | 300 | 600 |
| დამლაგებელი | 3 | 300 | 900 |
| დიქტორი | 1 | 300 | 300 |
| ჯამი | 53 | | 34475 |

ფეხბურთელთა რაოდენობა განისაზღვრება 29 ფეხბურთელით და წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს 920400 (ცხრაასოციათასოთხასი) ლარს

შენიშვნა: ფეხბურთელთა თვის სახელფასო ფონდი განისაზღვრება 90900 ლარით (საშუალო მაჩვენებელი 3130 ლარი)

1.1. 4. პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დეტალური ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად:

| კოდი | ხარჯების დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| | **შრომისანაზღაურება** | **1440850** |
| | *ხელფასები* | 1280850 |
| | *პრემია* | 160000 |
| | **საქონელიდამომსახურება** | **292160** |
| | მივლინება | 60750 |
| | **ოფისისხარჯი** | **38950** |
| | საწერ-სახაზავიქაღალდი ,საბუღალტროფორმებიდასხვაანალოგიურიმასალები | 400 |
| | სასტამბო ხარჯები | 1300 |
| | რეცხვის ,ქიმწმენდისდასანიტარულისაგნებისშეძენისხარჯი | 950 |
| | კავშირგაბმულობისხარჯი | 2250 |
| | *კომუნალურიხარჯი* | 18100 |
| | შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 8300 |
| | მცირეფასიანი ინვენტარი ( ბურთი) | 7650 |
| | **რბილი ინვენტარი და უნიფორმა** | **57000** |
| | **სამედიცინოხარჯები** | **8650** |
| | **ტრანსპორტისმოვლაშენახვისხარჯები** | **16000** |
| | **სხვადანარჩენისაქონელიდამომსახურება** | **110810** |
| | *სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს (სამწვრთნელო შეკრება)* | 88625 |
| | *ლიცენზირება აუდიტორულიმომსახურება* | 13210 |
| | *სხვა ხარჯი (ჯარიმები)* | 5500 |
| | დეზინფექცია-დერატიზაცია | 600 |
| | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ტენდერის ხარჯი+ +ბანკის ხარჯი) | 1175 |
| | შენობის დაქირავების ხარჯი | 1400 |
| | დასუფთავების მოსაკრებელი | 300 |
| | **სულ ხარჯი** | 1733010 |

### 1.2.1. სარაგბო კლუბ "პონტოს" ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით:

| N | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური, გაშიფრული) | განზომილების ერთეული | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 2016 წელი | | | |
| 1 | შრომის ანაზღაურება | ლარი | 46200 |
| საქონელი და მომსახურება | | | |
| 2 | მივლინება | ლარი | 11470 |
| 3 | ოფისის ხარჯი | ლარი | 1000 |
| 4 | სამედიცინო ხარჯები | ლარი | 700 |
| 5 | რბილი ინვენტარისა და უნიფრომის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | ლარი | 4730 |
| 6 | ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი | ლარი | 12100 |
| 7 | სხავ დანარჩენი საქონელი და მომსახურება | ლარი | 3800 |
| | სულ | | 80 000 |

### 1.2.2. დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება:

I კვარტალი 20 610 ლარი; II კვარტალი 21 060 ლარი;

III კვარტალი 19 390 ლარი; IV კვარტალი 18 940 ლარი;

1.2.3. სარაგბო კლუბ “პონტოს” პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი

| დასახელება | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შტატი | ხელფასი | თვე | 12 თვე |
| | **8** | **X** | **3850** | **46200** |
| დირექტორი | 1 | 700 | 700 | 8400 |
| „ა“ ლიგის მწვრთნელი | 1 | 700 | 700 | 8400 |
| „ბ“ ლიგის მწვრთნელი | 1 | 450 | 450 | 5400 |
| I საფესტივალოს მწვრთნელი | 1 | 450 | 450 | 5400 |
| II საფესტივალოს მწვრთნელი | 1 | 450 | 450 | 5400 |
| ბუღალტერი | 1 | 430 | 430 | 5160 |
| ექიმი | 1 | 400 | 400 | 4800 |
| სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში | 1 | 270 | 270 | 3240 |

1.2.4 სარაგბო კლუბ “პონტოს” პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დეტალური ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად:

| კოდი | ხარჯების დასახელება | ტანხა |
|---|---|---|
| 1 | შრომის ანაზრაურება | 46200 |
| | *ხელფასები* | 3850 X 12 |
| | *პრემია* | |
| 2 | საქონელი და მომსახურება | 33800 |
| | მივლინება | 11470 |
| 223 | ოფისის ხარჯი | 1000 |
| „„„ | სამედიცინო ხარჯი | 700 |
| 227 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 4730 |

| | | |
|---|---|---|
| 228 | ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი | 12100 |
| 2210 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 1900 |
| | *მიდნვრის მომზადება* | 1000 |
| | *შენატანი ეროვნულ ფედერაციაში* | 700 |
| | *სხვა ხარჯი (ბანკის ხარჯი)* | 200 |
| | *ქობულეთის ღია პირველობა რაგბში* | 1900 |
| | სულ ხარჯი | **80 000** |

## 1.3.1. ა(ა)იპ სპორტთამაშების კლუბი „ქობულეთის" ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით:

| N | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური, გაშიფრული) | განზომილების ერთეული | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 2016 წელი | | | |
| 1 | შრომის ანაზღაურება | ლარი | 9000 |
| საქონელი და მომსახურეობა | | | |
| 2 | დარბაზის საათობრივი არენდა ოფისის ხაჯებით | ლარი | 900 |
| 3 | სამივლინებო ხარჯები | ლარი | 1000 |
| 4 | ფორმა ინვენტარის შესყიდვის ხარჯები | ლარი | 1080 |
| 5 | საკანცელარიო ხარჯები | ლარი | 200 |
| 6 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | ლარი | 20 |
| | სულ | | 12200 |

1.3.2. ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება:

I კვარტალი 3050 ლარი; II კვარტალი 3050 ლარი;

III კვარტალი 3050 ლარი; IV კვარტალი 3050 ლარი;

1.3.3. პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი:

| საშტატო ერთეულის დასახელება | | | |
|---|---|---|---|
| | შტატი | ხელფასი | თვე |
| | | | |
| დირექტორი | 1 | 200 | 200 |
| კალათბურთის მთ.მწვრთნელი | 1 | 200 | 200 |
| კალათბურთის მწვრთნელი | 1 | 150 | 150 |
| ბუღალტერი | 1 | 150 | 150 |
| ხელბურთის მწვრთნელი | 1 | 150 | 150 |
| ფრენბურთის მწვრთნელი | 1 | 150 | 150 |
| **ჯამი** | 6 | | **1000** |